პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 18 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

134 (832) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## …აბჭოთა კავშირი და დასავლეთის პროლეტარიატი.

საბჭოთა კავშირის მიღწე…ბი, მისი შეუჩერებელი ზრდა … წინსვლა აღორძინების გზა… დიდ გავლენას ახდენს კა…ტალისტურ ქვეყნების მუშა… კლასზედ. უცხოელი მუშე… ხედავენ, რომ მიუხედავათ …ვა ცილისწამებებისა და სი…რუისა, რომელსაც სოციალ…მყიდველები და კაპიტალის…ები ავრცელებენ საბჭოთა …ესპუბლიკის შესახებ ეს უკა…სკნელი მაინც არსებობს.

…დასავლეთის პროლეტარი …ედავს რომ თვით ბურჟუაზია, …რომელიც აგინებს და ლან…ძავს საბჭოთა ქვეყანას, ცნო…ლობს მას და აბამს ეკონო…ურ კავშირს მასთან. და უნე…ბლეთ უცხოელი პროლეტა…ს გულში იბადება ეჭვი იმ …ობების სისწორეში, რომლი…ც მას კვებას გამყიდველე…ს და ბურჟუაზიის პრესა.

„ბოლშევიკებმა დაანგრიეს …ეთი, გაანადგურეს მისი …ურნეობა, ბოლშევიკები სძა…ვენ, ტყავს აძრობენ …ხს, ხვრეტენ, არაფერს არ …იან“ —ეუბნება დასავლეთის …ურჟუაზია თავისი ქვეყნის მუ…ს.

…ამით კაპიტალისტს სურს …აშინოს მუშა და საბ…თა კავშირის სინამდვი…ის მაჩინჯ სახეებში და…რათებით ხელი აალებინოს … რევოლიუციონურ ბრძო…აზე.

…მაგრამ როდემდის უნდა ატ…ოს მუშათა კლასი ბურჟუა…ამ. დასავლეთის მუშები უკ… არ უჯერენ ბურჟუაზიის …ერ მიწოდებულ ცნო…ბს საბჭოთა კავშირის სინამ…ვილის შესახებ.

…ისინი თვით გზავნიან თა…ს მუშათა დელეგაციებს სა…ოთა კავშირში. ერთი ასე… დელეგაციათაგანი ინგლისის …მუშებისაპერსელის მეთაურო…ით გვესტუმრა ჩვენ შარშან. …გლისის მუშების წარმომად…ნლები პირდაპირ გაოცებუ…ნი იყვნენ საბჭოთა ცხოვ…ებით. იქ მათ ბურჟუები ეუ…ბოდენ რომ საბჭოეთის ქვე…ნაში, შიმშილი, დანგრევა და…ოსიაო,—აქ მოვიდენ და და…ახენ სრულიად წინააღმდეგი …რევოლიუციონური წესრიგი, …შრომელთა ერთსულოვნება … მისი გამალებული-აღმშენე…ლობითი მუშაობა.

…და აი ეს ამხანაგები წავი…ენ თავის სამშობლოში და …ველაფერი სიმართლე უამბეს …ავის ამხანაგებს—მუშებს.

ამჟამად ჩვენ გვესტუმრა ინგლისის მუშა ქალთა დელეგაცია. ესენიც განცვიფრებული არიან მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მუშაობით და ცხოვრებით. ეს ამხანაგები აღგვითქვამენ ჩვენ, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ისინი ყველაფერ სიმართლეს მოუთხრობენ მათ, ვინც ისინი გამოგზავნა.

ამ რიგად კიდევ ხელმეორედ თავის წარმომადგენელის პირით ინგლისის მუშათა კლასი გაიგონებს პროლეტარულ სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ.

ჩვენ ვიცით და თვით ამხ. ინგლისელ დელეგატებმაც აღნიშნეს თავის სიტყვაში, რომ ბურჟუაზია და გამყიდველები სასტიკად გაილაშქრებენ მათ წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწევენ. ინგლისის მუშა დაუჯერებს მხოლოდ მას, ვინც თვითონ გაგზავნა და არა თავის კლასობრივ მტერს.

და არა თუ ინგლისის მუშები დაინტერესდენ ჩვენი ცხოვრებით, ეს ინტერესი—გაიგოს ნამდვილი ამბავი საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრების შესახებ აღეძრათ სხვა ქვეყნების მუშებსაც. ამ მოკლე ხანში ჩვენ მოველით რამოდენიმე მუშათა დელეგაციებს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ჩვენ ეჭვიც არ შეგვდის მასში, რომ როგორც ინგლისის მუშების ორი დელეგაცია, ისე ეს სხვა ქვეყნის მუშების დელეგაციებიც სავსებით შეიგნებენ და ღირსეულად დააფასებენ საბჭოთა რესპუბლიკების ნამუშევარს და ნამოქმედარს.

საბჭოთა კავშირი იქცევა კაპიტალისტურ სახელმწიფოს მუშების სანატრელ ქვეყნად.

საბჭოთა კავშირი მსოფლიო პროლეტარიატისათვის ხდება უდიდეს მაგალითად იმის, თუ როგორ უნდა დაამარცხოს მუშათა კლასმა კაპიტალიზმი და როგორ უნდა ააშენოს სოციალიზმი.

ამიტომაც სიმართლე, საბჭოთა კავშირის შესახებ საბოლოოდ ნიადაგს გამოაცლის ყოველგვარ მერყეობას დასავლეთის პროლეტარიატის რიგებში. ეს სიმართლე სამუდამოთ განამტკიცებს მასში რწმენას პროლეტარული რევოლიუციის ახალ გამარჯვებაში ევროპის დახავსებულ კაპიტალიზმზე.

## სამხედრო ცოდნის გავრცელება მოსახლეობაში.

12 ივნისს ხელმეორედ შესდგა სამსროლელო საზოგადოების დროებითი საინიციატივო ბიუროს სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხანაგების მოხსენებები მათ მიერ წარმოებულ სამსროლელო წრეების საორგანიზაციო მუშაობის შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა შემდეგი:

1) სამსროლელო წრეებში მეცადინეობის გეგმა და პროგრამა, რომელიც განაწილებულია ორ სამ-სამ თვიან პერიოდზე (ივლისი, აგვისტო და სექტემბერი—1-ლი პერიოდი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი—მე 2 პერიოდი)-სულ 48 საათი-მიღებულ იქნა მთლიანად.

2) პირველი სამსროლელო წრის ორგანიზაცია წითელი არმიისა და ფლოტის სახლთან მთავრდება; ამას გარდა დაწყებულ იქნა სასროლ ტირის მოწყობა (წითელი არმიისა და ფლოტის კლუბში) მცირე ყალბიან იარაღიდან სასროლად.

3) დასახულია უახლოეს დროში მოეწყოს მუშათა ორ პუნქტში რამოდენიმე სამსროლელო წრე და აგებულ იქნას ორი ტირი.

სამსროლელო წრის წევრთა პირველ საორგანიზაციო კრებაზე გამოირკვა, რომ ფაბრიკა-ქარხნების მუშები ესალმებიან საინიციატივო ბიუროს წამოწყებას ხსენებულ საზოგადოების დაარსების საქმეში და აყენებენ საკითხს წრეების პროგრამის გაფართოების შესახებ, რომელშიაც შეტანილ უნდა იქნას ტოპოგრაფიის ტაქტიკისა და სხვა სამხედრო დისციპლინების შესწავლა.

ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ ეს ახლად ჩასახული უჯრედები მომავალში უნდა გადაიქცენ სამსროლელო ძლიერ საზოგადოებად და რომელნიც, შესაძლებელია, შეუერთდენ და შეადგინონ ავიო—ქიმმეჲსაზოსთან ქვეყნის თავდაცვის ერთი ორგანიზაცია,—საჭიროდ ვსთვლით გავაფრთხილოთ, როგორც საინიციატივო ბიუროს წევრები ისე მუშები (წრის წევრები), რათა არ დაქსაქსონ თავიანთი ძალები და ენერგია სხვა და სხვა წრეებში, არამედ მტკიცედ ჩაუყარონ საფუძველი მხოლოდ სამსროლელო წრეებს.

თავი და თავი, რაც საჭირო მუშებისთვის—ეს არის სროლის საქმის ცოდნა, რათა საჭირო დროს დაეხმარონ წითელ არმიას ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

სხვა დისციპლინების წრეების შედგენა ჩაჩრდილავს სროლის საქმეს, რაც დაარღვევს სამსროლელო საზოგადოების ორგანიზაციის ძირითად დანიშნულებას.

გარდა ამისა სამსროლელო წრეებში სროლის საქმეზე თეორიულად გაცნობის გარდა დაიწყება საბრძოლო ვაზნებით სროლა, სადაც თანდათანობით მოუხდებათ ტაქტიკის, ტოპოგრაფიის, შენიღბვისა და სხვა დისციპლინების გაცნობა.

ი. ბარ.

## ახალი რადიო-ამბები

### თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთში.

შვიდასიათასიანი დემონსტრაცია პეკინში.

**საყოველთაო გაფიცვები დანიშნულია 25 ივნისისთვის.**

დემონსტრაციაზე, რომელიც გაიმართა პეკინში 15 ივნისს, 700.000-დი კაცი მონაწილეობდა.

მიტინგის შემდეგ დემონსტრანტები გაემართენ უცხოელთა კვარტალებისაკენ. ისმოდა ხმები: „ძირს იაპონიისა და ბრიტანეთის ყაჩაღები!“ „ძირს ინგლისის უღელი!“ „დაეხმარეთ შანხაისა და ხანკოუს მოძმეებს!“

**დიპლომატები ტყვიამფრქვევებში სხედან.**

უცხოელების კვარტალს იცავდა ჟანდარმებისა და პოლიციის გაძლიერებული რაზმები. კვარტალის გარშემო კედლები გამაგრებული იყო ტყვიამფრქვევებით.

სრულიად ჩინეთის საყოველთაო გაფიცვები ერთი დღით გადადებულია 25 ივნისისთვის.

### ბელგიელი და ფრანგი სტუმრები მოსკოვში.

მოსკოვში ჩამოვიდა ბელგიისა და საფრანგეთისა მუშათა ჯგუფი. ეს მუშები შრომის კონფედერაციის წევრები არიან.

### იაპონიის ფულის კურსის დაცემა.

უკანასკნელ დღეებში ხარბინის ბირჟაზე თანდათან ეცემა იაპონიის ფულის კურსი. კურსის დაცემა გამოწვეულია შანხაის ამბებით.

### ტოკიო-ჩინეთის ექსპედიცია.

ახლო დღეებში დაიწყება დიდი გადმოფრენა ტოკიოდან მოსკოვში.

ამ ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებენ იაპონიისა მფრინავები სამ თვითმფრინავებზე. ეს ექსპედიცია გადმოფრინდება იმ ანგარიშით, რომ გზაში შეხვდეს და მიესალმოს მოსკოვ-ჩინეთის ექსპედიციას. ეს გადმოფრენა ეწყობა უმთავრესად საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის მეგობრული ურთიერთობის აღსანიშნავად და ატარებს მისალმებისა და სტუმრულ ხასიათს.

## აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველობის თავმჯდომარე—გენერალ ვაო-გუიცინი გადაყენებულ იქნა ჩჟანძო-ლინის მიერ და დანიშნულ იქნა პროვინცია ინფუს გუბერნატორად.

## „დასაწყისი, რომელიც ბევრ დაპირებებს იძლევა“.

ამ სათაურით „იზვესტიაში“ მოთავსებულია წერილი რომე…შიაც ნათქვამია:

„კაპიტალისტური სისტემა ეს—ეს არის იწყებს განმტკიცებას მსოფლიო ომის მიერ შერყევის შემდეგ და ჩვენ უკვე ვხედავთ ეგრედ წოდებულ დიდ სახელმწიფოების მთელ რიგ გალაშქრებებს. თითქოს იმიტომ, რომ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაენახებია კაპიტალიზმის გარდაუვალი შედეგები, ისტორიის ჟინიანობამ შეჰყარა სულ რამოდენიმე დღის განმავლობაში ასეთ იმპერიალისტურ ნაბიჯების სერიათა მთელი რიგი.

ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზიული სისტემის მუშაობას ჩინეთში და მაროკოში და, როგორც სჩანს, მალე დავინახავთ მექსიკაშიაც.

ის რასაც ადგილი აქვს დღეს აფრიკაში და აზიაში, და რომელიც, როგორც სჩანს, ჩქარა გადავა ამერიკაშიც—აშკარად ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია ექსპლოატაციის, ძარცვისა და ყაჩაღობის გარეშე და, მაშასადამე, უომრად არსებობა, რომელიც დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობის პირობებში უსათუოდ გადაიქცევა ადრე თუ გვიან მსოფლიო ომად.

ხალხებმა, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოშუშებიათ გასული ომის მიერ მიყენებული იარები, კარგად უნდა შეიგნონ ეს.

მათ ფხიზელი თვალით უნდა შეხედონ სინამდვილეს და მიიღონ ზომები, რათა კაპიტალიზმი, რომელმაც დიდი ხანია შეასრულა ის დადებითი საქმე, რის გაკეთებაც მას შეეძლო, ხოლო დღეს წარმოადგენს უდიდეს ფაქტორს მხოლოთ ნგრევისა და განადგურებისათვის,—აღებულ იქნას მშრომელთა მასების არა მარტო სასტიკ მეთვალყურეობის ქვეშ, არამედ ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნას უვნებელყოფილი.

ამზადებს რა ახალ მსოფლიო ომს და ამხედრებს თავის ბატონობის წინააღმდეგ ყველა ქვეყნების მუშებსა და იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ ხალხებს, კაპიტალიზმი თავის ხელით ითხრის საფლავს და აჩქარებს თავის ლიკვიდაციის საათს. რაც ადრე დაჰკრავს ეს საათი, მით უკეთესი იქნება კაცობრიობისათვის“.

# საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და სამეურნეო მიღწევები.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა არსენალის რაიონის უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა კონფერენციაზე.

**კაპიტალისტურ ქვეყნების მერყევი მდგომარეობა.--საქართველოს „განმათავისუფლებელთა" კავშირი რუსეთის მონარქისტებთან.--ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა დამოკ დებულია ჩვენს მეურნეობაზე.**

**სამი ძირითადი საკითხი.**

საერთაშორისო და საშინაო საკითხებში ჩვენს მუშათა მასებს აინტერესებს პირველ ყოვლ ისა სამი ძირითადი საკითხი: როგორია რევოლიუციონური მდგომარეობა სხვა ქვეყნებში? ანგარიშს გვიწევენ თუ არა დასავლეთის სახელმწიფოები? უმჯობესდება თუ არა ჩვენი მეურნეობა?



ამხ. ორჯონიკიძე.

უკანასკნელი საკითხი მართლაც არსებითი საკითხია ჩვენთვის და მასზეა დამოკიდებული ჩვენი სამხედრო და პოლიტიკური გამარჯვება.

**კაპიტალისტურ ქვეყნებში.**

პირველ საკითხზე რომ პასუხი გავსცეთ. საჭიროა ჩავიხედოთ დასავლეთის მდგომარეობაში.

შეგვიძლია თამამად ვსთქვათ რომ კაპიტალისტურ საზოგადოების სხეული წინანდელზე უფრო დაჩირქებულია, მაგრამ იმავე დროს უნდა აღვნიშნოთ რომ ბურჟუაზიამ ომის შემდეგ რამოდენიმედ მოირჩინა ომის მიერ გამოწვეული ჭრილობები. ომის შემდეგ ევროპის სახელმწიფოები სცდილობენ, რაც შეიძლება მეტი წვენი გაადინონ გერმანიას. მოსალოდნელი იყო პროლეტარული მასების აჯანყება გერმანიის ბურჟუაზიის წინაღმდეგ, მოსალოდნელი იყო რევოლიუციის გამარჯვება, მაგრამ პირიქით გამოვიდა. გეგონებოდა, რომ გერმანიის 28 მილიონიან პროლეტარიატს ვერაფერი დაუდგებოდა წინ, მაგრამ გამოვიდა პირიქით. რატომ? იმიტომ რომ მუშათა დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო ეს უკანასკნელი არსებითად ხომ კაპიტალიზმის დამცველია. ამ რიგად სოციალ დემოკრატებმა გადაარჩინეს კაპიტალისტური წყობილება, მაგრამ ეს დროებითია. ამის დამამტკიცებელია ჩინეთი, მაროკო და სხვა.

**„ჩაგრულთა განმათავისუფლებელნი".**

ამხ. ორჯონიკიძე შეეხო ინგლის—საფრანგეთის პოლიტიკას აზიის ქვეყნებში.

— ქართველ მენშევიკები— განაცხადა მან—სთვლიდენ ინგლისსა და საფრანგეთს პატარა ერების განმათავისუფლებლად. თუ როგორი განმათავისუფლებელია ეს სახელმწიფოები, ამის მაგალითი არის ინგლისის კოლონიები და საფრანგეთის მიერ მაროკოში დაყენებული სისხლის მორევი. და აქაური განმათავისუფლებლებიც მათზე არა ნაკლებად „მოღვაწეობენ".

აი მაგალითად, ეროვნულ დემოკრატების ცეკას წევრი, ვინმე დათა შალიკაშვილი წავიდა მოხალისედ მაროკოში თავისუფლებისათვის მებრძოლ მთიელთა დასახვრეტად. კიდევ მეტი; კედიას ჯგუფმა იმოგზაურა პოლონეთში და კობურგში კირილე ვლადიმერის-ძესთან შეთანხმებლად და ქართველი ნაციონალისტები დახმარებას ღებულობენ ფულით რუსეთის მონარქისტებისაგან.

ნოე ჟორდანია ყველა ამ ბატონებთან კავშირში არის. ის იწერება, რომ ამ ჟამად საჭირო არაა აჯანყების მოწყობა, არამედ მზად უნდა ვიყოთ, როცა ბოლშევიკები დაეცემიანო.

**ხოლო ჟორდანიას აზრით ბოლშევიკები დაეცემიან ბურჟუაზიის წყალობით. აი სოციალისტი, რომელიც ზრუნავს სოციალისტურ საქმეებზე!**

მაგრამ ჩვენ მაინც ვხედავთ კაპიტალისტურ ქვეყნების შერყეულ მდგომარეობას და მათ გარშემო ყალყზე დამდგარი აღმოსავლეთის ბობოქარ ზღვას.

ჩვენ ვიცით, რომ დღეს ჩინეთის ხალხის ჯალათები ჩაახშობენ ჩინეთის ხალხის რევოლიუციონურ მოძრაობას, მაგრამ როცა ჩვენ ვხედავთ, რომ იმპერიალისტების წინააღმდეგ აღსდგა მთელი ჩინეთი, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რაკი 400 მილიონიანმა ხალხმა გამოიღვიძა, ის სწრაფად წავა წინ და არ არის ისეთი ძალა, რომელმაც დიდი ხნით შესძლოს მისი შეჩერება.

**ჩვენი მეურნეობის ზრდა.**

მაგრამ როგორია თვით საბჭოთა კავშირის ცხოვრება? რის პატრონი ვართ ჩვენ?

ჩვენ მივიღეთ სამემკვიდრეოდ ომით განადგურებული მეურნეობა, შემდეგ ამას დაერთო სამოქალაქო ომი. მდგომარეობა თითქმის გამოუვალი იყო. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დღეს ჯამი გაუკეთოდ ჩვენს მიღწევებს. ჩვენი ტრანსპორტი გაძლიერდა. და არა მარტო ტრანსპორტი, პური ჩვენში წამლივით საშოვარი იყო. უბრალო ხალათის შოვნა ხომ სერიოზულ საკითხს წარმოადგენდა. თუ რომ მოვიგონებთ ყოველივე ამას და შევადარებთ დღევანდელ მდგომარეობას, თამამად შეგვეძლება ვსთქვათ, რომ ჩვენ დიდი ნაბიჯი წავდგით წინ.

ასევე ითქმის სოფლის მეურნეობასა და გლეხის მდგომარეობაზედაც.

**რა გზით მოვსპობთ უმუშევრობას.**

მე უნდა შევეხო კიდევ უმუშევრობის საკითხს საერთოდ და ინტელიგენციის შორის კერძოდ. უკანასკნელ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიაში უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ტფილისში.

აქ ყველა ეროვნების ინტელიგენცია თავის უმუშევრობას ხსნის ეროვნული პოლიტიკის ნაკლით.

**მაგრამ საქმე სულ სხვაა და უმუშევრობის მიზეზი არის ის, რომ ჩვენ მეურნეობას არ შეუძლია დაიტიოს ინტელიგენტურ ძალთა მთელი რაოდენობა, რომელიც ჩვენ გვყავს.**

**ამ საკითხს გადაჰრის მხოლოდ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება.** მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს ამ მიმართულებით. თუ ჩვენი ინტელიგენცია დაგვეხმარება აღმშენებლობაში, ის მიიღებს სამუშაოსაც და სარბიელსაც უშოვის თავის ძალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხელცარიელი დარჩება. ჩვენმა მასწავლებლებმა გვასწავლეს ჩვენ თუ როგორ შევათავსოთ პროლეტარიატის, ჩაგრულ ერთა და გლეხობის ინტერესები. აი ჩვენი გზა.

—გაუმარჯოს სოციალისტურ აღმშენებლობას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა ხანგრძლივი ტაშით იფარება.

# სამხედრო საქმე განაპში.

## საზაფხულო სწავლებისათვის.

**9. ათეულისა და ოცეულის საბრძოლო მომზადება.**

როგორც წინად გვქონდა აღნიშნული, მოგერიების დროს სადარაჯოდ გამოყოფილი ოცეული თვალყურს ადევნებს წინამდებარე ადგილებს და აგრეთვე დაკავებულ დაცვის ზოლს შიგნითაც.

ათეულისა და ოცეულის სწავლების დროს დაცვის ზოლში მოთავსებისა და მუშაობის საქმეში, ხელმძღვანელმა უნდა დანიშნოს მთელი რიგი გზა—ჯვარედინ წერტებისა. დაცვისა და თვალთვალის ამოცანები აქ თვით უნდა დაამუშაონ ათეულისა და ოცეულის ყველა მეომრებმა.

ამისათვის ოცეული უნდა გაიყვანო მინდორზე—დაცვის ზოლზე, აუხსნა თუ საიდანაა მოსალოდნელი მტერი და თვით მეომრებს (მათი შეხედულებით) უნდა დააკავებიო ეს ადგილები ისე, რომ შეიძლებოდეს ყველაფრის დანახვა, როგორც წინ, ისე ორივე გვერდით, ხოლო თვითონ რაც შეიძლება მოფარებულად მოთავსდენ.

ათეულების მიერ დაცვის ზოლის დაკავების შემდეგ ხელმძღვანელი განმარტავს ყველა იმ ნაკლს, რომლებიც დაშვებულ იქნა მეომრის მიერ და მიუთითებს იმაზე, თუ რა მოჰყვებოდა ასეთ შეცდომებს (მტერი შემოიპარებოდა შეუმჩნევლად დაცვის ზოლზე, და თავს დაესხმოდა მთავარ წინააღმდეგობის ზოლში მოთავსებულ ნაწილებს, რომლებიც ვერც კი მოასწრებდენ საბრძოლოდ გაშლას.)

მეორე მთავარი საკით[...] ადგილმდებარეობაზე არსებ[...] ცეცხლის წერტების კარგი [...] მოყენება. აქ ზედმეტი არ [...] ნება უბრძანო მტერს (წინ[...] ზავნილი ათეული, რომელ[...] ვითომც მტერს წარმოადგე[...] დაიწყოს შემოტევა (ძი[...] სახით) და ეცადოს გამოიყენ[...] უსწორ-მასწორი ადგილები [...] შემოიპაროს ფარულად დაც[...] ზოლში.

აი ასეთ შემთხვევაში ნა[...] ლი გახდება შეცდომები [...] ეულის მოთავსებაში.

შემდეგი საკითხი-ეს იქნება შ[...] ილბვა ათეულებისა და მოთავ[...] ვალეების. თუ რომ ესა თუ ის [...] ომარი ან ათეული არ შეინი[...] ბება, ეს შემთხვევა უნდა [...] მოიყენოს ხელმძღვანელმა რ[...] გორც თემა და აუხსნას მე[...] რებს, თუ რა მოხდებო[...] ომში, რომ მართლაც ასე[...] შეცდომა ყოფილიყო დაშ[...] ბული.

შემდეგ ხელმძღვანელმა თვ[...] ლსაჩინოდ უნდა აუხსნას [...] რა რიგად უნდა დაიჭირ[...] კავშირი მეზობელ ათეულ[...] თან და ოცეულის ბირთვთა[...] უნდა გაიგზავნოს კავშირის მ[...] ომრები და მასთან გამოყენ[...] ბულ უნდა იქნას სასაუბრ[...] თემად, თუ მეომრებმა კარგა[...] ვერ გამოიყენა ადგილმდებ[...] რეობა. დაცვის ზოლის მნიშ[...] ვნელობა და ოცეულის ამოც[...] ნების ახსნის შემდეგ, უნ[...] მიუთითო მთავარ წინააღმდ[...] გობის ზოლზე და აღნიშნ[...] მათ შორის განსხვავება.

ი. ბარ.

# ლაშქრული წესით მოძრაობა ღამით.

ტეხნიკისა და ავიაციის განვითარება აშკარად გვიმტკიცებს, რომ მომავალ ომებში ჯარების მოძრაობა და გადაჯგუფება იწარმოებს მომეტებულად ღამით. ღამე ადვილად დაჰფარავს ჰაერის მტრისაგან ჩვენს გადაჯგუფებასა და მოქმედებას. ყოველივე ეს გვიკარნახებს იმას, რომ ჯარები ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს ჩაბმულ უნდა იქნან ღამით მოძრაობაში. ჩვენს საზაფხულო სამოსწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მთელი მეცადინეობის ერთი მესამედის ჩატარება ღამით. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ მეცადინეობაში შედის ღამით გადასვლის სწავლებაც. აი რატომ გვაინტერესებს ჩვენ გავეცნოთ ღამით მოძრაობას.

პირველ ყოვლისა ღამით მოძრაობა გაცილებით მეტ დაღლილობას იწვევს ვინემ დღისით. რისგან წარმოსდგება ეს და როგორ ავიშოროთ თავიდან დაღლილობა ან შევამსუბუქოდ ის?

ღამით სიარულის დროს ნერვები ძლიერ იჭიმება, სიძნელე იწვევს ერთგვარ შთაბეჭდილებიანობას, კაცს ადვილად იმორჩილებს შიში, მას არ აქვს ის დაჯერება თავის თავში, როგორიც მას დღისით აქვს და სხვა. ერთი სიტყვით ნერვები მუდამ დაჭიმულ მდგომარეობაშია.

ამიტომაც ადრე იღლება კაცი. აქედან ცხადია, რომ დაღლილობის შესამსუბუქე[...] ლად და შესამცირებლად, უ[...] და შეეჩვიო ღამით მოქმედე[...] ბას და გამოიმუშაო სიმარდ[...] და ამტანობა რაიც ამსუბუ[...] ქებს ღამით მოძრაობის სიძნე[...] ლეს.

ლაშქრული მოძრაობა ღ[...] მით უნდა ტარდებოდეს სრულ[...] წესრიგზე: დაცულ უნდა იქ[...] ნას სიჩუმე, მშვიდი ნაბიჯ[...] დისტანცია; თამბაქოს წევა შ[...] იძლება მხოლოდ დასასვენებ[...] ლად გაჩერების დროს; განკ[...] რგულება გადაიცემა ჩუმა[...] ფურჩულით.

თუ მოძრაობაში უწესრიგობა[...] ექნა ადგილი, ის სწრაფა[...] მოედება ყველა მიმავალთ, აძ[...] ლიერებს დაჭიმულ მდგომა[...] რეობას და ამით იწვევს დაღ[...] ლილობას.

თუ მტრის პროჟექტორი[...] სინათლე გამოჩნდა, ნაწილებ[...] მყისვე უნდა დაწვენ მიწაზ[...] და არ გაინძრენ სანამ სინათ[...] ლე არ შეწყდება.

მოსახლეობიან ადგილები[...] გავლენის დროს ბერა გაჰყოფ[...] ისევე როგორც დღისით, მო[...] ნიშნეებს (2-3 წითელ არმი[...] ელს), რომლებიც უჩვენებდე[...] უკან მიმყოლთ მოძრაობის მი[...] მართულებას. ასეთ მონიშნეებ[...] აყენებენ საზოგადოდ ყველ[...] ჯვარედინ გზებზე.

ღამით მონიშნეების გამოყე[...] ნება უფრო აუცილებელია, ვინემ დღისით.

ვ.

# ჩვენი კოოპერატივის კრედიტების განაღდება.

ამას წინეთ ჩვენ გაკვრით ავღნიშნეთ ჩვენი სამხედრო კოოპერატივის მიერ გაცემული კრედიტების განაღდების გართულების შესახებ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ჩვენ უფრო ფართედ უნდა დავაყენოთ ეს საკითხი, რადგან ამას მოითხოვს შექმნილი მდგომარეობა. ვაჭრობა და კოოპერაცია ეს ორი დარგი ერთი მეორეზედ არის გადაჯაჭვული და თუ ვაჭრობის, სიტყვის სრული მნიშვნელობით, არ მიუდექით საქმეს და ის არ გავატარეთ კოოპერატიულ მშენებლობაში, იმ შემთხვევაში ჩვენი თანამედროვე კოოპერაციის მდგომარეობა უფრო გართულდება და მისი მნიშვნელობას ეკონომიურ ცხოვრებაში დავიყვანთ არარაობამდე. არსად, არც ერთ მომხმარებელ კოოპერატივის წესდებაში არ შედის საქონლის ნისიათ გაცემა და არც შეიძლება ასეთი კოოპერაციის არსებობა, რადგან ის მაშინ არღვევს თვით კოოპერატიულ პრინციპს. ჩვენი კოოპერატივი რაღაც გამონაკლისს შეადგენს ამ შემთხვევაში. ის საშვალებას აძლევს, როგორც ნაწილში გახსნილ წერტიდან, აგრეთვე ცენტრიდან მიიღოს კოოპერატივის წევრმა განსაზღვრული თანხის საქონელი ნისიათ, რომელიც მან ყოველ თვიურ ჯამაგირის მიღების დროს უნდა გადაიხადოს ნაწილობრივ დანიშნულ დროში.

აღნიშნული მდგომარეობით, რასაკვირველია სარგებლობს ჩვენი დივიზიებში ყველა მოსამსახურე პირები. საუბედუროთ ჩვენდა ზოგიერთს ვერ შეუგნია ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ მას ნისიათ საქონელი მისცეს და მას დროზედ უნდა გადახდა, რომ ამით გამგეობას საშვალება მიეცეს აწარმოვოს გეგმიანი მუშაობა. არის შემთხვევები, რომ ნაწილზედ ირიცხება განსაზღვრული თანხა და თვის ბოლოს ზოგჯერ ნახევარიც არ შეაქვთ. ამავე დროს ზოგი მაღალი თანამდებობის პირები თვითონ არ ირიცხავენ ჯამაგირიდან ვალს და ამავე დროს მისი უმცროსი, რომელიც ჯამაგირს არიგებს არ უჭერს თავის უფროსს ვალს.

საჭიროა კითხვის პირდაპირ დაყენება, რომ ერთხელ. და სამუდამოთ მოვიშოროთ თავიდან ეს ყოველივე გაუგებრობა. თუ რომელიმე ნაწილში გახსნილია წერტი და იქედან ვაძლევთ ნისიათ საქონელს (რისიც უფლება არ გვაქვს და მაინც ვაძლევთ) მაშასადამე ამ წაღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ყოველ თვის ბოლოს იკისროს ნაწილის ხელმძღვანელმა.

აქ კოოპერატივის გამგეობა ნაწილს წარუდგენს სიას და ფულის რაოდენობას. მხოლოთ გამგეობამ სრულიათ უნდა მიიღოს მთელი თანხა.

მას სიასთან არავითარი საქმე არ ექნება.

ნაწილმა როგორც უნდა ისე გაანაღდოს თავისი ვალი.

თუ ასე მოეწყობა ნაწილებში—გაცემულ კრედიტების აღება, მაშინ გამგეობა უარს არ იტყვის ასეთ კრედიტების გაცემაზედ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, გამგეობა იძულებული იქნება მოსპოს ყოველგვარი კრედიტების გაცემა.

აქ უნდა ავღნიშნოთ ჩვენი პარტიის აღებული ხაზი კოოპერაციის კრედიტების გაღების შესახებ. პარტიის არც ერთ წევრს არ ეპატიება კოოპერატივის ვალის, გადახდის დაგვიანება.

მისი ასეთი მოქმედება უნდა ჩავთვალოთ კოოპერატიულ მშენებლობის დანგრევის ხელის შეწყობას რაც ისჯება პარტიული დისციპლინით. რაც შეეხება უპარტიოების დავალიანებას, მათზედ თანახმათ ა. ქ. კომიტეტის დადგენილებისა, კოოპერატივის საქმე, რომელიც გადაეცემა სასამართლოს სულ მოკლე დროში გაირჩევა და გამგეობას შეეძლება დროზედ გაინაღდოს გაცემული კრედიტები.

დროა კოოპერატივის ყველა წევრებმა შეიგნოს თავიანთი მოვალეობა კოოპერაციისადმი და შეგნებულათ ხელი შეუწყონ მის განვითარებას.

ს. ლომიძე.

# ტერკორო!

ორი დღეა რაც ტერ შეკრება დაიწყო.

დღემდი არც ერთი წერილი შენგან არ მიგვიღია იმის შესახებ, თუ როგორ მიდის ტერ შეკრება!

დასაშვებია სამხედრო კორესპონდენტისაგან ასეთი გულგრილობა და უყურადღებობა თავის მოვალეობისადმი?

დაუყონებლივ გამოასწორე ეს დიდი შეცდომა!

დაჩქარებით მიაწოდე შენს გაზეთს ცნობები ტერ-შეკრების მსვლელობაზე, ცვალებადელების განწყობილებისა და მათთან შეხვედრის და სხვათა შესახებ.

„წითელი არმიელი" მოუთმენლად მოელის შენგან ამ ცნობებს!

## გესმის ტერკორო?!

## მოგვეცით საათი.

6-ხე ლეგიონი.

ლეგიონის საყარაულო შენობაში არა გვაქვს საათი, რაც ძლიერ უშლის ხელს გუშაგების გამოცვლას დანიშნულ დროებში.

დღემდე ვსარგებლობდით პირველი ათასეულის საათით, მაგრამ ეხლა როდესაც ათასეული გადავიდა სხვა ბინაზე და თან წაიღეს თავისი საათი საქმე ძლიერ გასჭირდა. ამის შესახებ სათანადო განცხადებით მივმართეთ ლეგთავს, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი პასუხი არ მიგვიღია.

საჭიროა ლეგიონის-მესვეურებმა შესაფერი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და მოგვცენ ერთი საათი.

წ. არმ. ჭალადიდელი.

## ჩვენი მუშაობა.

(1-ლი ლეგიონი.)

საზამთრო ყაზარმაში დარჩენილი ახალწვეულებისაგან შემდგარი მეორე ასეული გაცხოველებით აწარმოებს ყოველგვარ მეცადინეობას.

დისციპლინა ახალწვეულებში კარგად არის დაცული.

წითელ-არმიელების 70 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია, რომლებიც დიდის სიხალისით ეკიდებიან ყოველგვარ სწავლებას.

ნაწილში უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს სროლის საქმეს, და ტაქტიკურ მეცადინეობას. ახალწვეულებმა უკვე კარგად იციან თოფის მოხმარა.

დღეში ერთი საათი წესდებებს აქვს დათმობილი და მორიგეობით გადიან საგარნიზონო და შინასამსახურის წესდებებს.

**წრეების მუშაობა.**

ასეულში სულ რამოდენიმე დღეა რაც დაარსდა შემდეგი წრეები: სამხკორთა, დრამატიული, ლიტერატურული, სპორტიული, მომღერალთა და სამხედრო. ზოგიერთ ამათთაგანში მუშაობა უკვე დაიწყო, მხოლოთ ზოგიერთ წრეებს ჯერ-კიდევ არა ყავთ ხელმძღვანელები.

სამხკორთა წრეს ყავს 15 წევრი. მათთან უკვე სწარმოებს მეცადინეობა. წრეს ხელმძღვანელობს ასეულის სამხკორი.

დრამწრემ უკვე დაამზადა პიესები დასადგმელად.. ყავს 25 წევრი.

ლიტწრე ამ დღეებში შეუდგება მუშაობას, მას ხელმძღვანელობს მასწავლებელი ამხ. ბურჭულაძე. წრეს ყავს 50 წევრი.

სპორტწრის მუშაობას ხელმძღვანელობს ამხ. თელია ყავს 80 წევრი.

სამხედრო წრეც ამ დღეებში შეუდგება მუშაობას, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. მამულაშვილი და ამხ. სილაგაძე. წრეს განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში მოაწყოს სამხედრო გასამართლება.

ვერ მუშაობს მომღერალთა წრე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თითქმის მთელ ასეულს სურვილი აქვს ამ წრეში მუშაობისა, მაგრამ ეს არ ხერხდება ხელმძღვანელის არ ყოლის გამო.

**ლენინის კუთხე.**

ლენინის კუთხე ჯერ ვერა სდგას თავის სიმაღლეზედ რადგან ასეულს ხშირად უხდება ბინის გამოცვლა.

კუთხეში მოდის 18 ცალი გაზეთი „წითელი არმიელი" ყოველდღიურად. მათ შორის 3 ცალს გვაძლევს ლეგიონის სამკითხველო და 15 ცალი კი თითონ გამოიწერა წითელ-არმიელებმა თავიანთი ფულით. აქ მოდის აგრეთვე გაზეთი „კომუნისტი" და „მუშა".

კუთხეში საღამოობით ეწყობა ხმა მაღალი კითხვა, რომელსაც ხელმძღვანელობს ასეულის პოლიტხელი და ლეგიონის სამკითხველოს გამგეობა.

სამხკორი შ. თელია.

## ახალი ძალები.

მესამე ლეგიონი.

თვე ნახევარია მას შემდეგ რაც ჩვენს ლეგიონში მოვიდენ სამხედრო პოლიტსკოლა დამთავრებული კურსანტები და შეუდგენ ჩვენს რიგებში მუშაობას. ამ უკანასკნელ ხანებამდე, სანამ ლეგიონი არ შევსებულიყო წითელ არმიელებით შეუძლებელი იყო ამ ამხანაგების შეფასება, მაგრამ ეხლა,

როდესაც ლეგიონი უკვე შევსებულია სრულიად და ყველაფერში გამაღლებული მუშაობაა გაჩაღებული, ახალი პოლიტხელების საქმიანობა, მათი გამოცდილება, მომზადება და შრომის მოყვარეობა აშკარა შესამჩნევი შეიქნა. ამ ამხანაგებს გარდა თავისი პირდაპირი მოვალეობისა სამხედრო საქმეც აინტერესებთ და თითქმის ყველაფერი გაეგებათ მასში.

ვაშა იმ სკოლას, რომელმაც ასეთი მომზადებული ამხანაგები გადაუგზავნა ქართულ ნაწილებს.

უსურვეთ მას, რომ ის ახალი ძალები, რომლითაც ხელმეორედ მოევლინება ის ჩვენს ნაწილებს, უფრო მეტი გამოცდილებით და მომზადებით გამოუშვას.

სამხკორი ა. ტატიანელი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## რას ვაკეთებთ ბანაკად.

მე-4-ხე საგაუბიცო ბატარეიის წითელი არმიელები დიდათ დაინტერესებული არიან ბანაკად ყოფნის დროს სწავლა-გამოცდილების შეძენაში.

ხშირად გაიგონებთ: „ბიჭებო, ახლა მაინც ქალაქში შვებულებაში, ვეღარ მივდივართ. მოდი წავიდეთ წითელ-კუთხეში რამე წავიკითხოთ".

მართლაც ერთ წუთსაც ვერ დაინახავ უსაქმოთ მყოფ. წ. არმიელს. საღამოს ამოკითხვის დროს ზემდეგი აცხადებს, ამაღამ დანიშნულია განგაში პირველი ქვემეხთათვის.

აჰა, შუშხუნაც გავარდა. სმენა! დაიწყეთ ინტერნაციონალი. მღერიან. გათავდა.

მარჯვნისა—კენ!

დაიშალენით! ვაშაა!

გაიმართა სიმღერა ყველა კარვებში.

საგანგაშო გათვლისას წ. არმიელი ეკითხება: „ამხ. ქვემეხის უფროსო, რა საჭიროა ეს განგაში?"

ჩივაძემ წამოიძახა მე უპასუხებ: ბიჭო, განგაში იმიტომ არის საჭირო რომ, ამოწმებენ იმას თუ რომელი ბატარეიის წითელი არმიელები არიან ფხიზელი და უკეთ მომზადებული არ, ამისთვის არის საჭირო, განგაში.

—აბა რაღამც ასეა საქმე, ტანსაცმელი კარგ ადგილას შეინახე, რომ, ღამე უცებ წამოავლო ხელი.

ამხ. ბოჭორიშვილი უძახის საწოლიდან: ბიჭო, ხუჭუა, მუჯლუგუნი ამაყოლე თორემ მეძალიან ძილი ვიცი და შევრცხვები კაცი რომ ყველამ გაგვასწროს. ნილბები ყველას გვინდა?

—მაშ, მაშ ყველას. აბა ბიჭებო, ყოჩაღად იყავით.

ყოველი საქმის გაკეთებას შეჯიბრების ხასიათი აქვს. ისე ღამე არ წავა, რომ მთელი წითელი არმიელები მეთაურებთან ერთად „ჩაგუნას" თამაში არ გაახურონ.

ასე ვმუშაობთ და ვსწავლობთ ბანაკში.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## ექსკურსია ბაღში.

8 ივნისს პირველი ლეგიონის წითელ არმიელები გაემგზავრენ ექსკურსიაზე ბოტანიკურ ბაღში.

ექსკურსიას ხელმძღვანელობდა პოლიტხელი ამხ. იმნაიშვილი.

ბოტანიკურ ბაღში მისვლისას წითელ არმიელებმა გამართეს ცეკვა და სიმღერები.

ამის შემდეგ სიცილ—თამაშით დაიშალენ და წავიდ-წამოვიდენ ბაღის სხვა და სხვა მხარეში მცენარეულობის და ყოველგვარ სანახაობის დასათვალიერებლად. დათვალიერების დროს წითელ არმიელებთან იყო თვით მებაღე, რომელიც უხსნიდა მათ ყოველ წვრილმანს. მებაღე უხსნიდა წითელ არმიელებს, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ადამიანისათვის ბაღს და საერთოდ მცენარეულობას, რითაც წითელ არმიელები დიდი კმაყოფილი რჩებოდენ.

საღამოს ისევ ცეკვა-სიმღერით და ძლიერ გამხიარულებულნი დავბრუნდით ჩვენ-ჩვენ კარვებში.

დიდ მადლობას უძღვნით ამხ. იმნაიშვილს, რომელმაც კარგი ხელმძღვანელობა გაუწია ჩვენს ექსკურსიას.

სასურველია ხშირად მოეწყობოდეს ასეთი ექსკურსიები.

წით. არმ. მენაბდე.

## მათაც მიაქციეთ ყურადღება.

მეორე ლეგ. 2-რე ათასეული.

ჩვენი ლეგიონის მეორე ათასეულიც გავიდა საბანაკოდ, რომელმაც ყაზარმის დასაცავად დასტოვა წითელ არმიელების ერთი ნაწილი.

კვებით კმაყოფაზე ეს ამხანაგები მიმაგრებული იქნენ ტერ-ათასეულზე. საკუთარმა ათასეულმა კი არმიელებს სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არაფერი დაუტოვა, ხოლო მიმაგრებულ ტერ-ათასეულიდან სურსათით კმაყოფის გარდა არაფერს ღებულობენ. კვების გარდა კი არმიელებს სხვა მოთხოვნილებებიც აქვთ. მათ აუცილებლად ესაჭიროებათ საპონი, საცვლების გასარეცხი ფული საზაფხულო ჩაფხუტები, და ტოლაღები, რომლებიც მათ არ მიუღიათ.

დროა იზრუნებდეს ათასეულის მესვეურები ამისათვის. აღსანიშნავია ის, რომ ათასეულის მეთაურს აქ ჩამოსვლისას არ გახსენებია ყაზარმა და დატოვებული არმიელები, რომ გაეგო თუ როგორ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება.

მიაქციეთ მათაც ყურადღება.

სამხკორი წიწაკა.

## ჩვენი საქმიანობა ბანაკში.

(პირველი ლეგიონი).

ბანაკში გასვლამ ჩვენს ნაწილს ბევრი ახალი რამ შესძინა. ნაწილის მუშაობის თავის დონეზე დასაყენებლად არავითარ ენერგიას არ ზოგავენ ჩვენი უფ-პოლიტ-შემადგენლობა და წითელ არმიელები. სწორეთ ამას უნდა მივაწეროთ, ის რომ ჩვენ დღეს კარგათ ვართ მოწყობილი ბანაკში.

ბანაკის მოწყობაში დიდი შრომა მიუძღვის ჩვენი ლეგიონის სამნეო ნაწილს და მის უფროსს. მის მიერ ბანაკში უკვე მოწყობილია ერთი დიდი აუზი, სადაც წითელ არმიელები იბანენ ტანს. აუზი იტევს 40 კაცზე მეტს. კარგათ არის მოწყობილი წითელ არმიელთა სასადილოც, ყოველ ათ-ათ წითელ არმიელს აქვს ერთი მაგიდა. სასადილოში დაცულია სისუფთავე.

აქვე სარდაფში კეთდება კვასი ექიმთა მეთვალყურეობით, რომლითაც წითელ არმიელები სარგებლობენ.

ბანაკში მოწყობილია სხვა და სხვა გასართობები, რითაც წითელ არმიელთა სიხარულს საზღვარი არა აქვს. ამიტომაცაა რომ დაინტერესებული წითელ არმიელები ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ნაწილის აღმშენებლობაში და ბანაკის კარგათ მოწყობაში.

დიდ მადლობას უცხადებთ ჩვენი ნაწილის უფ-პოლიტ-შემადგენლობას, რომლებიც დაუღალავათ ზრუნავენ წითელ არმიელთა საკეთილდღეოთ.

სამხკორი დ. კიკვაძე.

## სამხედრო პოლიტსკოლის საბანაკო ცხოვრებიდან.

ჩვენი სკოლის საბანაკო ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში მოექცა. უკვე დაიწყო ყოველგვარი მეცადინეობა, რომლის გეგმა წინასწარ იქნა შემუშავებული. თავის საზაფხულო სამოქმედო გეგმაში სკოლა დიდი ყურადღებით ეპყრობა ადგილობრივ გლეხობაში მუშაობის წარმოების საქმეს.

გლეხთა შორის მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილი იყვნენ ამხანაგების მთელი წყება, რომლებსაც, გარდა სოფლის უჯრედებში მოხსენებების გაკეთებისა ევალებათ სოფლის ცხოვრებისა და მისი ჭირვარამის დაწვრილებითი შესწავლა. განზრახულია ჩვენი კლუბის ძალებით მოეწყოს სოფლებში საღამო წარმოდგენები. ამას გარდა უნდა გაეწიოს დახმარება სოფლის ქოხ-სამკითხველოებს. სკოლის ბიბლიოთეკამ უკვე გამოჰყო საჭირო წიგნები და ბროშურები საშეფო სოფლისთვის გადასაცემად.

გლეხებთან უფრო დაახლოების მიზნით ამორჩეული იქნა საკავშირო კომისია, რომელიც მონდომებულად შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

კედლის გაზეთი კვლავ განაგრძობს გამოსვლას. სარედაქციო კოლეგიასაც, რომელიც გადარჩეული იქნა, შემუშავებული აქვს ზაფხულისთვის სამუშაო გეგმა. იმედია ეს ამხანაგებიც არ ჩამორჩებიან სკოლის საერთო მაშტაბით წარმოებულ საქმიანობას.

სამხკორი ნ. თავართქილაძე.

## რატომ ასე აგვიანებთ?

(1-ლი არტლეგიონი)

ორი თვის წინად შესდგა ლეგიონის გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთდა მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობაზე.

მოხსენება გააკეთა მწყობრის თავმა ამხ. ჩხიკვაძემ, რომელმაც მოგვიწოდა სურვილებისამებრ ჩავწერილიყავით საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში და გადაგვეხადა ნაწილ-ნაწილად საწევრო ფული.

მოხსენების შემდეგ, მართლაც დიდის ხალისით ჩავეწერეთ აღნიშნულ საზოგადოებაში და შევიტანეთ ერთი წლის საწევრო ფული. ამის შემდეგ ჩვენ დაგვპირდენ წიგნების მოცემას, მაგრამ გადის აგერ რამოდენიმე თვე და საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების გამგეობა ამაზე არაფერს არ ფიქრობს.

საჭიროა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას და დაგვირიგონ საზოგადოების საწევრო წიგნაკები.

სამხკორი ბაშელი.

## მოგვეცით აბანო.

პირველი მესანგრეთა ასეული.

ორ კვირაზე მეტი იქნება, რაც ჩვენი ასეულის არმიელები არ ყოფილან აბანოში. ერთად ერთი რაც მოუწესრიგებელია ჩვენს საბანაკო ცხოვრებაში ეს არის აბანოთი სარგებლობის საკითხი. ჯერ ერთი იშვიათად თუ წაგვიყვანებენ აბანოში და შემდეგ თვითონ აბანოებიც ძლიერ უვარგისი არის. საჭიროა ბანაკის კომენდანტმა შესაფერი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას. ხოლო ჩვენს მეთაურებს მართებთ მიიღონ შესაფერი ზომები და ხშირად წაიყვანონ ნაწილის არმიელები აბანოში.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

## ვინ იქნება შემდეგი.

თანახმად ამხ. ასათიანის გამოწვევისა ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ორი თვით და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ქ. დუშეთიდან.

ცხრა წლედის მასწავლებლებს: 1) ამხ. სევასტი ხომერიკს.

2) ამხ. მარო ოსიტაშვილისას.

3) ამხ. მარო მაჩიტაძე-კოპიაშვილისას.

4) თიანეთის რაიონის ქალთა ინსტრ. ორგანიზატორს ამხ. ვერა ბრეგვაძისას.

5. მაზრის ახკომკავშირის აგიტპროპის გამგეს ამხ. იოსებ საძაგლიშვილს.

6. მაზრის ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების თავმჯდომარეს ამხ, ვალოდია დევაძეს.

იმედია აღნიშნული ამხანაგები გამოეხმაურებიან ჩემს გამოწვევას და გამოიწერენ გაზ. „წითელ არმიელს“.

დუშეთის სამპარტკომის ქალთა განყ. გამგე თ. შუშიაშვილისა.

## კომენდანტის საყურადღებოთ.

ქ. თბილისის გარნიზონის საყარაულოებში ერთ არასასურველ მოვლენას აქვს ადგილი.

ზოგიერთ საყარაულო შენობებში არ არის ადუღებული წყალი და მოყარაულე წითელი არმიელები სვამენ აუდუღებელ წყალს. ჯერ ისედაც არ არის მარგებელი თვილისის აუდუღებელი წყლის დალევა და მით უმეტეს დაღლილი წითელი არმიელების ორგანიზმისათვის.

16 ივნისს № 5 საყარაულოში ჭიქაში ადვილად შევამჩნიეთ რაღაც ცოცხალი, მოძრავი ბაცილები. ადვილი შესაძლებელია ამ ბაცილებმა ზიანი მოგვაყენოს და რაიმე გადამდები ავადმყოფობა გაგვიჩინოს.

რომ ეს არ მოხდეს საჭიროა ყველა საყარაულოებში იყოს გამოულევლად ადუღებული წყალი. სამხკორი ბოკო.

## პასუხად ამხ. ავადმყოფთაგანს.

გაზეთ „წითელ არმიელის“ № 128-ში მოთავსებულია ამხ. ავადმყოფთაგანის კორესპონდენცია, სათაურით „შეასწავლეთ სანიტრობა“, სადაც აღნიშნულია, რომ 1-ლი ლეგიონის ქსენონში სანიტრები თავის მოვალეობას ვითომც ვერ ასრულებდენ. მოვალეობის შეუსრულებლობა მისი აზრით გამოიხატება შემდეგში: 1. სადილის თავის დროზე მოუტანლობა და 2. დილაობით პურის დარიგების დროს ულუფის დაკლება და სხვა.

ამხ. ავადმყოფთაგანმა უნდა იცოდეს, რომ სადილი სანიტრებს მათთვის მოაქვთ ლეგიონის უფროს მეთაურთა სასადილოდან, რომელიც მოთავსებულია ბანაკში, ქსენონი კი არის საზამთრო შენობაში, და მანძილის სიშორის გამო შეიძლება ყოფილიყო სადილის დაგვიანება, მხოლოდ ამას სისტემატიური ხასიათი არ ჰქონია.

რაც შეეხება მეორე ბრალდებას, არც ეს არის მართალი. სანიტრები თავის ავადმყოფებს არამც თუ ულუფას დააკლებენ, არამედ, პირიქით ცდილობენ რაც შეიძლება სისწორით აწარმოონ ულუფის განაწილება. ამასთანავე ერთად ულუფის განაწილებას ყოველთვის ესწრება ექიმის თანაშემწე.

იყო შემთხვევა, როცა ერთმა ავადმყოფმა განაცხადა უკმაყოფილება ამ ნიადაგზე, იმ წამსვე გამორკვეულ იქნა საქმის მდგომარეობა და აღმოჩნდა რომ ავადმყოფს უფრო მეტი მიეღო პური, ვიდრე მას ეკუთვნოდა.

ქსენონს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული და მსგავს მოვლენებს იქ ადგილი არასოდეს არ ექნება.

ლეგ. ექიმი ლომთათიძე.

## საგლეხო ბიუჯეტის გამოკვლევა

ამ ჟამად ტფილისის მაზრაში მიმდინარეობს საგლეხო ბიუჯეტის გამოკვლევა. ტფილისის სტატისტიკური განყოფილების ცნობით აღნიშნული აღწერა მაზრაში დიდის წარმატებით მიმდინარეობს.

გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს ჩვენი გლეხობის მდგომარეობა და მასთან დაკავშირებით ჩვენი სოფლის დღევანდელი საჭიროებანი და მისი პირვარამი.

ვინაიდან ეს საქმე ახალია და გლეხებმა კი არ იციან აღნიშნულ გამოკვლევის მნიშვნელობა, საფიქრებელი იყო, რომ ისინი არ მიაწოდებდენ სოფლად მისულ კომისიებს შესაფერ ცნობებს, მაგრამ ასეთი მოლოდინი არ გამართლდა და გლეხობა ყველგან დიდის კმაყოფილებით ხვდება აღმწერლებს. სოფ. ხაშმში მოხდენილ იქნა საჩვენებლათ 5 საგლეხო მეურნეობის გამოკვლევა. ხილული მაგალითიდ გლეხები უკვე დარწმუნდნენ, რომ ამ აღწერას არა თუ უარყოფითი, არამედ უაღრესად კარგი გავლენა ექნება მათ ყოფა-ცხოვრებაზე.

საჭიროა, ყველამ აღმოუჩინოს ხელისუფლებას დახმარება ამ საქმეში, ვისაც კი მიუწვდება ხმა სოფლამდე. ამ მხრივ ჩვენს წითელ არმიელებს შეუძლიათ დიდი სამსახური გაუწიონ ჩვენი გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს, საითკენაც მიმართულია აღნიშნული გამოკვლევა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ გამოკვლევას უაღრესი მნიშვნელობა ექნება იმ ლოზუნგის განსახორციელებლათ, რომელსაც ეწოდება: „პირი-სოფლისაკენ“.

დ.

## ამბები სოფლებიდან.

**მიწის გადაცემა.** ოზურგეთის აღმასკომმა გადასცა ოზურგეთის სამაზრო გლეხკომს 50 დესეტინა მიწა, რომელზედაც გლეხკომს განზრახული აქვს მოაწყოს მიწის საზოგადოებრივათ დამუშავება, გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღებით.

**გორი-ცხინვალის გზატკეცილი.** უკვე შეუდგენ გორი-ცხინვალის გზა-ტკეცილის საფუძლიან შეკეთებას. პირველ რიგში შეკეთებულ იქნება ყველა ხიდები.

**სეტყვა სენაკის მაზრაში.** ამ დღეებში სამეგრელოს ზოგიერთ სოფლებში მოვიდა დიდი სეტყვა. განსაკუთრებით დაზარალდა სენაკის მაზრა.

**საზამთროს დათესვა.** სოფელ ყვარელში (თელავის მაზრა) ამჟამად გლეხებს დათესილი აქვთ საზამთრო ათას დესეტინაზე. მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჩანს.

## ახალი ამბები.

— **ახალწვეულ ცვალებად** შემადგენლობაში წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად ტფილ. პოლიტგანათლების განყოფილებამ გაანთავისუფლა ორი ტეხნიკუმის შენობა, სადაც იწარმოებს წითელ-არმიელებთან მეცადინეობა.

— **საგიტაციო პიესა.** პოლიტგანყოფილება შეუდგა საგიტაციო პიესების გამოცემას. პირველათ გამოცემულ იქნება ერთაწმინდელის პიესა „ახალი დივიზიები“.

— **კომუჯრედების გაერთიანებული კრება.** პარასკევს საღამოს 5 საათზე პოლიტგანყოფილების შენობაში გაიმართება ცეკავშირის სტამბის და პოლიტგანყოფილების უჯრედთა გაერთიანებული კრება.

— **ქალაქის განაპირა უბნების** კეთილ მოწყობას ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგება ივნისის ბოლო რიცხვებში.

— **შრომის კომისარიატმა** გამოსცა „შრომის კომისარიატის მოამბე № 9“.

— **შრომის კოლექტივები.** ამ ჟამად ტფილისში მუშაობს 14 შრომის კოლექტივი.

— **მუშების საავადმყოფო ტყიბულში.** სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასწყვიტა მიიღოს ზომები ტყიბულის მუშების საავათმყოფოს პირობების გასაუმჯობესებლათ.

— **ახტალაზე გაგზავნა.** 1-ლ ივლისს ტფ. დამზღ. სალარო გაგზავნის ახტალაზე საექიმოთ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა 1-ლ ჯგუფს.

— **რენტგენის კაბინეტის მიღება.** ჯანსახკომმა მიიღო საზღვარ-გარეთიდან ძლიერი რენტგენის კაბინეტის მოწყობილობანი.

### ხელოვნება.

— **დღეს მოხდება** ვანო სარაჯიშვილის სახელობის საზაფხულო ბაღის გახსნა (ოპერის თეატრის გვერდით).

— **მიხეილ ჯავახიშვილმა** დასწერა ახალი მოთხრობა „ლიმშალო და ლოშა“. მოთხრობა დაწერილია იმპერიალისტური ომის დროიდან.

## რადიოს მოყვარულთა კუთხე.

**რადიოს მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში.**

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პირველად ჩაეყარა საფუძველი რადიოს საყოველთაო ხმარების საქმეს, დაიწყეს მისი გამოყენება არა მარტო კონცერტების მოსასმენად, არამედ რადიოს ფართე მნიშვნელობა მიეცა სასოფლო მეურნეობაშიც.

აქ დიდი ყურადღება ექცევა და შესაფერისადაც არის დაყენებული სამეტეროლოგიო საქმე, ე. ი. ამინდისადმი თვალყურის დევნა და ატმოსფერაში (ჰაერში) მომხდარ ყოველგვარ ცვლილებების.

ყველა მეზღვაურები და ფერმერები (მემამულეები) უდიდესი ნდობით ეკიდებიან, რადიოს საშვალებით დღეში რამოდენიმეჯერ თითეული დღის და უფრო მეტი ხნისაც, ამინდის მდგომარეობის შესახებ გადმოცემულ ცნობებს.



რადიო სადგური ამერიკის უმაღლეს სასოფლო სამეურნეო სასწავლებელში.

ამ წინასწარი ცნობების მიხედვით თითეულმა ფერმერმა იცის, თუ როგორ უნდა გაანაწილოს თავისი მუშაობა, როდის უნდა დაიწყოს თესვა და სხვა.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მიყრუებულ მხარეებში სოფლის მეურნეობის ნაწარმოებზე საბაზრო ფასების ბიულეტენების გადაცემას რადიოს საშვალებით.

ამ ცნობების მეოხებით ფერმერებმა იციან, როდის, სად და როგორი სოფლის ნაწარმოები უნდა მოიტანონ ქალაქის ბაზრებზე.

ამ ჟამად ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების 370 ათას ფერმერს აქვს გამართული საკუთარი რადიო მიმღები სადგურები. მათი საშვალებით ფერმერები უშუალოდ არიან დაკავშირებული სხვა გარეშე ქვეყნებთან.

ამას გარდა თითეული დეპარტამენტის მიწადმოქმედების სარაიონო ბიუროებში (სამმართველოებში) რადიო მიმღები სადგურების დადგმა სავალდებულოა, რომ ფერმერებს გადაეგზავნოთ ფოსტის საშვალებით აქ მიღებული ცნობები.

გამოჩენილი სპეციალისტები კითხულობენ საყოველთაო ლექციებს სასოფლო მეურნეობის ყველა დარგიდან, რომელსაც რადიოს საშვალებით ისმენენ ამერიკის გლეხები.

ამ ახლო მომავალში საბჭოთა კავშირშიდაც გაიმართება ასეთი ადგილობრივი სარაიონო საყოველთაო რადიო სადგურები. ისინი უკვე შეკვეთილი არიან და ზოგიერთი მათგანი დაიდგმებიან კავშირის სხვა და სხვა რაიონებში მიმდინარე წლის განმავლობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგ ჩვენი მიწადმოქმედების კომისარიატი მიიღებს ზომებს ასეთი სადგურების გამოსაყენებლად ფართო გლეხთა მასებში სასოფლო სამეურნეო ცოდნისა და გამოცდილებათა გავრცელებლად.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ახალი პერისკოპი.**

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების საზღვაო დეპარტამენტმა მიიღო განსახილველად პერისკოპის (ხელსაწყო, რომლის საშვალებით წყალ ქვეშა ნავი, წყალ ქვეშ ყოფნის დროს ხედავს, თუ რა ხდება წყლის ზედაპირზე.) ორიგინალური ახალი ტიპი. პერისკოპი დასცურავს წყალქვეშა ნავიდან განცალკევებით ზღვის ზედაპირზე და აწვდის ნავის ეკიპაჟს ყველა იმ მოვლენების ფოტოგრაფიულ გამოხატულებას, რომლებიც ხდებიან ზღვის ზედაპირზე. პერისკოპი გამოიგონა კლერკიმ (ნიუ-იორკი.) მისი დანიშნულებაა, საშვალება მისცეს წყალქვეშა ნავებს თვალყური ადევნონ მოწინაალმდეგის სამხედრო გემების მოძრაობას, არ იქნეს მათგან შენიშნული და თავიდან აიცილოს მათი ცეცხლის საშიშროება.

პერისკოპის ამ ახალ ტიპს შეუძლია არა მარტო „ხედვა“ არამედ გამომგონებლის სიტყვებით, რომ ვსთქვათ „მოსმენაც“. ეს უკანასკნელი ოპერაცია სწარმოებს მგრძნობიარე მიკროფონისა და ბგერების გამაძლიერებლის შემწეობ-თ, რომლებიც დიდი გარკვეულობით სცემენ ნავში ისეთ ბგერებს, როგორიც ჰაეროპლანის ხმაურია ან და მოახლოებულ გემების საჭეების ხმა და სხვა. ეს, რომ პერისკოპი დაინახეს მოწინაამდეგის გემებიდან, მას შეუძლია გადასჭრას პერისკოპის ნავთან შემაერთებელი კაბელი და მისი მიტოვებით მიიმალოს. ამნაირად მოწინაამდეგეს ხელში შერჩება მხოლოდ პერისკოპი, კლერკი ამტკიცებს აგრეთვე, რომ ეს მისი ახალი გამოგონება შეიძლება გამოყენებული იქნეს ავტომატიური გუშაგის როლში, სანაპირო თავდაცვის ბატარეიის გასაფრთხილებლად ზღვიდან მოახლოებულ თავდასხმის გამო.

ეს ხელსაწყო გამომგონებელისვე სიტყვით ეღირება 15 ათასი სტერლინგი (ერთი სტერლინგი უდრის 10 მანეთს). ეხლანდელი ჩვეულებრივი ჰოგრისებური წყალქვეშა ნავის პერისკოპი ღირს 8.000—დან 10.000 სტერლინგამდე.

**კიდევ ერთი ექსპედიცია ჩრდილოეთ-პოლიუსისაკენ.**

ცნობილ შელგტონის ექსპედიციის მონაწილე, რომელიც ერთ დროს გაემგზავრა სამხრეთის პოლიუსისაკენ, ელგერსონი ამ ჟამად აპირებს გადაფრენას ჩრდილოეთის პოლიუსზე. ექსპედიციის ყველა ხარჯებს კისრულობს ლივერპულის ბანკირები. ელგერსონი გადაფრინდება საჰაერო გემით „ისლანდიათი“. მას სურს ჩრდილოეთის პოლიუსზე აღმართოს დიდი თუ თვალმდევნელი შეამჩნე-დი ბრიტანეთის დროშა.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ცაცას.** თქვენი კორესპონდენცია „სამართლიანია?“ არ გავა. წერილი დაუსაბუთებელია, თუ რა მიზეზით იქნა დათხოვნილი პირველი მგველი.

**ამხ. გლეხისშვილს.** კორესპონდენცია „ასე ნუ გაუშვებთ წითელ მოლაშქრეს“ გადაეცა პირველ დივიზიის პოლიტგანყოფილებას.

**ამხ. გეზს.** წერილი „ზედმეტს გვაწერს“ გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთში.

**ამხ. ცელქს.** თქვენი კორესპონდენცია „მოგვეცით ტანსაცმელი“ გადაეცა დივიზიის შტაბს.

**ამხ. ვაშაკიძეს.** თქვენი წერილი არ გავა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ფ. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.